სააქციო საზოგადოება
აჭარის წყლის ალიანსი
საქართველო. ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. #119
ს/კ 445505178
ტ. +995 591 511115
E-mail: awa.jsc.2017@gmail.com

Joint Stock Company
Adjara Water Alliance
#119 Komakhidze str. Batumi, Georgia
I/c 445505178
T. +995 591 511115
E-mail: awa.jsc.2017@gmail.com

№ 77

16 მარტი 2020 წ.

ქალბატონო ნაზიბროლა

თქვენს მიერ 2020 წლის 18 თებერვალს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისადმი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გაგზავნილი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ გერმანიის საქართველოსთან ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში აჭარაში დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდვის პროგრამას ახორციელებს სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსი". შევეცდებით მოგაწოდოთ ზოგადი ინფორმაცია პროექტის თაობაზე:

პროექტის მიზანია აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგების, წყალარინების სისტემებისა და ჩაშვებული წყლის გაწმენდვის გაუმჯობესება, განსაკუთრებით მომსახურების ხელმისაწვდომობის, მდგრადობისა და საიმედოობის მხრივ. ამგვარად, დაბებისა და სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდება, რაც ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევას და ასევე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების უკეთესად დაცვას. პროექტი შეავსებს "კომუნალური ინფრასტრუქტურა საქართველოს" პროგრამას, რომელიც ჯერჯერობით შემოიფარგლება მხოლოდ ბათუმითა და ახლომდებარე მუნიციპალიტეტებით.

ეს მიზანი მიღწეული უნდა იქნეს არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის საჭირო საინვესტიციო ღონისძიებებით, აგრეთვე ახალი, ეფექტური, გარემოსდაცვითი და კლიმატისათვის შესაბამისი, მდგრადი და მომხმარებელზე ორიენტირებული წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განხორციელების გზით. ამ მიზნების მიღწევის, პროექტის შედეგებისა და აუცილებელი საპროექტო საქმიანობის, ისევე როგორც პროექტის მიზნებისა და პროექტის შედეგების საფუძვლების კრიტერიუმები დეტალურად არის მოცემული დანართებში, კერძოდ კი შემდეგ დოკუმენტებში: "ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება წყალმომარაგებისა და სანიტარული სისტემების კვლევა აჭარაში დაბებსა და სოფლებში" (IGR/ Eptisa/კავკასიის კონსალტინგი, აპრილი 2017) და "აჭარა - დამატებითი საკონსულტაციო მომსახურება პროექტის მომზადებისთვის" (MACS Energy and Water, ოქტომბერი 2017).

საპროექტო ტერიტორიაზე სამიზნე ჯგუფების ძირითადი მონაცემები

| მუნიციპალიტეტი | ადმინისტრაციული ოლქები | სოფლები | საყოფაცხოვრებო მომხმარებელი | მოსახლეობა | პირი ერთ მომხმარებელზე |
|---|---|---|---|---|---|
| ქედა | 9 | 61 | 5,090 | 20,808 | 4.09 |
| ხელვაჩაური | 38 | 64 | 16,694 | 64,392 | 3.84 |
| ხულო | 13 | 90 | 8,729 | 34,786 | 3.89 |
| ქობულეთი | 20 | 52 | 20,295 | 74,887 | 3.61 |
| შუახევი | 9 | 69 | 5,479 | 20,510 | 3.73 |
| **სულ ჯამი:** | **89** | **336** | **56,287** | **215,383** | **3.83** |

პროექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება (მათ შორის, საქართველოს კონტრიბუცია და საკონსულტაციო მომსახურება) შეადგენს 59.5 მილიონ ევროს. ეს თანხა ჩაშლილია შემდეგნაირად: 43 მილიონი ევრო - საინვესტიციო ხარჯებისთვის (კონსულტანტი 1-ის ჩათვლით), 7 მილიონი ევრო - საკონსულტაციო ხარჯები თანმხლები ღონისძიებებისა და ტექნიკური მხარდაჭერისათვის (კონსულტანტი 2) და 9.5 მილიონი ევრო - გადასახადებისა და საბაჟო მოსაკრებლებისთვის.

» ბიუჯეტი ჩაშლილი სახით:

| დაფინანსების წყარო | სესხი/ გრანტი | დაფინანსების ძირითადი შემადგენელი ნაწილები | რ-ბა (მლნ. ევრო) |
|---|---|---|---|
| **ევროკავშირი (შერეული მომსახურება):**<br>- საინვესტიციო გრანტი | გრანტი | ინვესტიციის შემადგენელი ნაწილი (სოფლებში) | 3 |
| - საინვესტიციო ფაზის ტექნიკური დახმარება | გრანტი | ლოტი-2-ის კონსულტანტი | 4 |
| **წამყვანი ფინანსური ორგანიზაცია**<br>- ინვესტიცია | სესხი | ინვესტიცია: სამუშაოები და მომარაგება (დაბები) | 15.1 |
| | სესხი | წყალარინების გამწმენდი ობიექტები (დაბები და სოფლები) | 10 |
| | სესხი | ინვესტიცია: სამუშაოები და მომარაგება (სოფლები) | 9.6 |
| | სესხი | ინვესტიცია: აღჭურვილობა მართვისა და ექსპლოატაციისათვის (დაბები და სოფლები) | 2 |
| - განმახორციელებელი კონსულტანტი | სესხი | ლოტი-1-ის კონსულტანტი | 3.3 |
| - ტექნიკური დახმარება | გრანტი | ლოტი-2-ის კონსულტანტი | 3 |
| ***შერეული დაფინანსების ჯამი:*** | | | **50.0** |
| პარტნიორი ქვეყანა/ბენეფიციარი (საკუთარი წვლილი) | გრანტი | გადასახადები და სხვა მოსაკრებლები, PEA -ს მართვის ხარჯები<br>საჭიროების შემთხვევაში, მიწის გამოსყიდვის ხარჯი | 9.5 |
| **სულ დაფინანსება (მილიონ ევროში):** | | | **59.5** |

## ძირითადი პროექტების ცხრილების სახით ზოგადი მიმოხილვა:

| დაფინანსების წყარო | რაოდენობა (ევრო) | სახსრები გამოიყენება |
|---|---|---|
| KfW-ს სესხი | 40,000,000 | საინვესტიციო ზომები დაბებში, საინვესტიციო ზომები სოფლებში, კონსულტანტი 1 |
| NIF-ის საინვესტიციო გრანტი | 3,000,000 | საინვესტიციო ღონისძიებები სოფლებში |
| NIF-ის ტექნიკური მხარდაჭერის გრანტი | 4,000,000 | კონსულტანტი 2 (ტექნიკური მხარდაჭერა) |
| KfW-ს გრანტი | 3,000,000 | თანმდევი ზომები - კონსულტანტი 2 |
| **ჯამი:** | **50,000,000** | |

საერთო გათვალისწინებული ინვესტიციები (ევროში):

| ცენტრალიზებული/ დეცენტრალიზებული | სფერო | მაღალმთიანი | | | დაბლობი | | | ქვე-ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქედა | შუახევი | ხულო | ქობულეთი | ხელვაჩაური | | |
| ცენტრალიზებული | წყალმომარაგება | 1,316,665 | 1,612,765 | 1,879,582 | 566,435 | 4,739,079 | | 10,111,526 |
| | წყალარინება | 1,055,474 | 1,705,470 | 2,958,707 | 3,327,105 | 5,118,262 | | 14,165,018 |
| დეცენტრალიზებული | წყალმომარაგება | 511,298 | 1,553,073 | 1,910,948 | 424,655 | 202,054 | | 4,602,028 |
| | წყალარინება | 1,669,511 | 2,664,797 | 2,928,066 | 577,908 | 282,533 | | 8,122,815 |
| **ქვე-ჯამი:** | | **4,552,948** | **7,536,105** | **9,674,303** | **4,896,103** | **10,341,928** | | **37,001,387** |
| ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურების და განმახორციელებელი კონსულტანტის (18.9%) ჩათვლით | | 5,414,114 | 8,961,519 | 11,504,145 | 5,822,174 | 12,298,047 | | 44,000,000 |
| სულ ჯამი მაღალმთიანი/დაბლობი | | 25,879,778 | | | 18,120,221 | | | |
| პროცენტული თანაფარდობა 44 მილიონი ევროდან | | 12.30% | 20.40% | 26.10% | 13.20% | 28.00% | | |
| პროცენტული თანაფარდობა მაღალმთიანი/დაბლობი | | 59.00% | | | 41.00% | | | |

შენიშვნა: ამ ცხრილში არ არის ჩართული არც თანმხლები ზომების, არც ლოტი-2-ის სხვა ტექნიკური დახმარების ხარჯები, რომლებსაც არა აქვს პროექტირებისა და ზედამხედველობის ასპექტებთან პირდაპირი კავშირი.

ინვესტიციები წლების მიხედვით თანმხლები ღონისძიებებისა და ლოტი-2-ის ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით (ევროში):

| ინვესტიციების კლასიფიკაცია | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | ქვე-ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქედა | --- | --- | 570,651 | 861,943 | 1,102,347 | 605,918 | 182,813 | --- | 3,323,672 |
| ხელვაჩაური | --- | --- | 583,807 | 1,507,902 | 2,445,247 | 2,047,667 | 965,026 | --- | 7,549,649 |
| ხულო | --- | --- | 1,053,724 | 1,583,327 | 2,040,943 | 1,631,689 | 752,599 | --- | 7,062,282 |
| ქობულეთი | --- | --- | 197,213 | 598,126 | 1,087,753 | 979,253 | 711,831 | --- | 3,574,176 |
| შუახევი | --- | --- | 1,022,505 | 1,480,941 | 1,828,220 | 877,925 | 291,797 | --- | 5,501,388 |
| ექსპლოატაცია და ტექნიკური უზრუნველყოფა | 669,800 | 650,100 | | --- | --- | --- | 650,100 | --- | 1,970,000 |
| განმახორციელებელი კონსულტანტი (ლოტი-1 და ლოტი-2) | 645,000 | 645,000 | 430,000 | 602,000 | 774,000 | 645,000 | 430,000 | 129,000 | 4,300,000 |
| ლოტ-2-ის ტექნიკური მხარდაჭერა | 300,000 | 400,000 | 500,000 | 500,000 | 500,000 | 500,000 | 300,000 | --- | 3,000,000 |
| ფიზიკური გაუთვალისწინებელი ხარჯები (ინვ. 15%) | 100,470 | 97,515 | 514,185 | 904,836 | 1,275,677 | 921,368 | 533,125 | --- | 4,347,174 |
| გაუთვალისწინებელი ხარჯები | 1,205,616 | 1,224,863 | 1,244,606 | 1,133,984 | 885,778 | 490,772 | 187,082 | --- | 6,372,702 |
| თანმხლები ღონისძიებები | 400,000 | 500,000 | 500,000 | 500,000 | 400,000 | 300,000 | 300,000 | 100,000 | 3,000,000 |
| **სულ ჯამი:** | **3,320,886** | **3,517,478** | **6,616,691** | **9,673,059** | **12,339,965** | **8,999,592** | **5,304,373** | **229,000** | **50,001,043** |

დადგენილი ცალკეული პროექტები (პროექტის საბაზისო ღირებულება):

| მუნიციპალიტეტი | H/L | ცენტ./დეც. | მინიშნება | სამუშაოთა აღწერილობა | შეფასება (ევრო) |
|---|---|---|---|---|---|
| ქედა | მაღალმთიანი | CE | C_WS-01 | წყალამღები და გადამცემი მაგისტრალური მილის გაუმჯობესება | 137,500 |
| | | CE | C_WS-02 | გაწმენდვა-დამუშავება | 70,796 |
| | | CE | C_WS-03 | წყალმომარაგების ქსელის განახლება და გაუმჯობესება | 391,500 |
| | | CE | C_WS-04 | წყლის მრიცხველების დამონტაჟება | 361,375 |
| | | CE | C_WW-01 | წყალარინების ქსელის განახლება | 470,500 |
| | | CE | C_WW-02 | ქედის წყალარინების გამწმენდი | 300,000 |
| | | DC | D_WS-01 | წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (ზენდიდი, აქუცა, შევაბური) | 373,250 |
| | | DC | D_WW-01 | ინდივიდუალური სეპტიკური ავზები (<30 საყოფაცხოვრებო მომხმარებელი) | 1,218,750 |
| **ქვე-ჯამი:** | | | | | **3,323,671** |
| შუახევი | მაღალმთიანი | CE | C_WS-01 | დღვანის წყალამღებისა და გადამცემი მაგისტრალური მილის გაუმჯობესება | 250,000 |
| | | CE | C_WS-02 | გაწმენდვა-დამუშავება და სამარაგო რეზერვუარები | 240,625 |
| | | CE | C_WS-03 | წყალმომარაგების ქსელის განახლება და გაუმჯობესება | 285,450 |
| | | CE | C_WS-04 | წყლის მრიცხველების დამონტაჟება | 401,250 |
| | | CE | C_WW-01 | წყალარინების ქსელის განახლება | 587,500 |
| | | CE | C_WW-02 | კომუნალური სეპტიკური ავზები | 657,500 |
| | | DC | D_WS-01 | წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/გაფართოება | 1,133,750 |
| | | DC | D_WW-01 | ინდივიდუალური სეპტიკური ავზები (<30 საყოფაცხოვრებო მომხმარებელი) | 1,945,313 |
| **ქვე-ჯამი:** | | | | | **5,501,388** |
| ხულო | | CE | C_WS-01 | წყალამღებისა და გადამცემი მაგისტრალური მილის რეაბილიტაცია | 276,750 |
| | მაღალმთიანი | CE | C_WS-02 | ულტრაიისფერი გამწმენდი სადგურის რეაბილიტაცია, წყლის გამწმენდი სადგური და მთავარი რეზერვუარი | 285,000 |
| | | CE | C_WS-03 | წყალმომამარაგების სისტემის გაფართოება და განვითარება | 392,513 |
| | | CE | C_WS-04 | წყლის მრიცხველების დამონტაჟება | 415,650 |
| | | CE | C_WW-01 | კანალიზაციის დაერთებების განახლება | 755,868 |
| | | CE | C_WW-02 | ხულოს წყალარინების გამწმენდი ნაგებობა | 1,404,000 |
| | | DC | D_WS-01 | წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/გაფართოება | 1,395,000 |
| | | DC | D_WW-01 | ინდივიდუალური სეპტიკური ავზები (<30 საყოფაცხოვრებო მომხმარებელი) | 2,137,500 |
| **ქვე-ჯამი:** | | | | | **7,062,281** |
| ქობულეთი | დაბლობი | CE | C_WS-01 | ოჩხამურის ჭაბურღილები და ჯიხანჯურის მაგისტრალური გადამცემი მილი | 196,000 |
| | | CE | C_WS-02 | გაწმენდვა-დამუშავება და სამარაგო რეზერვუარები | 53,000 |
| | | CE | C_WS-03 | წყალმომარაგების ქსელის განახლება და გაუმჯობესება | 0 |
| | | CE | C_WS-04 | წყლის მრიცხველების დამონტაჟება | 164,500 |
| | | CE | C_WW-01 | წყალარინების ქსელის განახლება/გაფართოება და სახლების დაერთება | 978,800 |
| | | CE | C_WW-02 | დაბა ოჩხამურის კომუნალური სეპტიკური ავზები | 1,450,000 |
| | | DC | D_WS-01 | წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/გაფართოება | 310,000 |
| | | DC | D_WW-01 | ინდივიდუალური სეპტიკური ავზები (<30 საყოფაცხოვრებო მომხმარებელი) | 421,875 |
| **ქვე-ჯამი:** | | | | | **3,574,175** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხელვაჩაური | ფაზები | CE | C_WS-01 | ახალი და რეაბილიტირებული წყალამღები და მაგისტრალური გადამცემი მილის გაუმჯობესება | 1,160,000 |
| | | CE | C_WS-02 | გაწმენდვა-დამუშავება და სამარაგო რეზერვუარები (ჯოჭოსწყლის წყარო და წყლიას გამწმენდი სადგური) | 438,000 |
| | | CE | C_WS-03 | წყალმომარაგების ქსელის განახლება და გაუმჯობესება | 1,400,647 |
| | | CE | C_WS-04 | წყლის მრიცხველების დამონტაჟება | 460,900 |
| | | CE | C_WW-01 | წყალარინების ქსელი | 2,876,352 |
| | | CE | C_WW-02 | კომუნალური სეპტიკური ავზები, წყალარინების გამწმენდი ნაგებობა | 860,000 |
| | | DC | D_WS-01 | წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/გაფართოება | 147,500 |
| | | DC | D_WW-01 | ინდივიდუალური სეპტიკური ავზები (<30 საყოფაცხოვრებო მომხმარებელი) | 206,250 |
| ქვე-ჯამი: | | | | | 7,549,649 |
| ექსპლოატაციისა და ტექნიკური უზრუნველყოფის მოწყობილობები | | | | | 1,970,000 |
| ჯამური ინვესტიციები: | | | | | 28,981,164 |

ინვესტიციების რეგიონალური გადაწილება:




- ქედა -12%
- ხელვაჩაური - 28%
- ხულო - 26%
- ქობულეთი - 13%
- შუახევი -20%

აჭარის ყველა რაიონის წყალმომარაგების საწარმოებისა და ადგილობრივი მომხმარებელთა ჯგუფებისათვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და წყლის ხარისხის კონტროლის მანქანა-დანადგარები:

| მანქანა-დანადგარები | ერთ. ფასი | რ-ბა | სულ ფასი (ევრო) |
|---|---|---|---|
| 10 კუბ. მეტრი ტევადობის სპეციალიზირებული გამრეცხი/შლამმწოვი მანქანა | 400.000 | 1 | 400.000 |
| 5 კუბ. მეტრი ტევადობის სპეციალიზირებული გამრეცხი/შლამმწოვი მანქანა | 250.000 | 1 | 250.000 |
| ექსკავატორი, დამტვირთელი (თოვლის საწმინდის ჩათვლით) | 30.000 | 2 | 600.000 |
| 7.5 ტონის ტევადობის თვითმცლელი | 35.000 | 5 | 175.000 |
| პიკაპის ტიპის ავტომანქანა (4X4) | 35.000 | 6 | 210.000 |
| მცირე ზომის მუხლუხებიანი ექსკავატორი (თოვლის საწმინდის ჩათვლით) | 50.000 | 3 | 150.000 |
| საკანალიზაციო მილების გამწმენდი ხელსაწყო | 3.000 | 5 | 15.000 |
| ხელსაწყოების კომპლექტი | 12.000 | 5 | 60.000 |
| ასფალტის საჭრელი აპარატი | 5.500 | 5 | 27.500 |
| პოლიეთილენის შესადუღებელი აპარატი | 12.000 | 5 | 60.000 |
| წყლის ხარისხის შემოწმების გადასატანი (პორტატული) ლაბორატორიული მოწყობილობა | 2.500 | 15 | 37.500 |
| წყლის ხარისხის შემოწმებისათვის საჭირო გასახარჯი მასალა (2 წლის სამყოფი) | 400 | 30 | 12.000 |
| რეზერვუარებში წყლის ხარისხის შემოწმების ინსტრუმენტების კომპლექტი | 30 | 100 | 3.000 |
| რეზერვუარებში წყლის ხარისხის შემოწმების რეაგენტები | 2.500 | 1 | 2.500 |
| ჯამი | | | 2.000.000 |

**მთავარი ინსტიტუციონალური ასპექტები:**

პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, PEA (პროექტის აღმასრულებელი სააგენტო) იქნება წარმოდგენილი MOFEA-ს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო) სახით და დამატებით „აჭარის წყლის ალიანსის" (AWA-ს), იმ კომპანიის სახით, რომელიც დაფუძნებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის მუნიციპალიტეტების მიერ (ქალაქი ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური, ხულო ქედა და შუახევი). PEA-ს როლი მოიცავს შემდეგ ფუნქციებს: პროექტებისა და საბუთების დამტკიცება, სატენდერო პროცედურების განხორციელება, იმოქმედოს როგორც დამსაქმებელი FIDIC-ის წესებით სამშენებლო ხელშეკრულების ფარგლებში, სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა, პროექტის ფინანსური მართვა და ა.შ.

„აჭარის წყლის ალიანსი" არის აჭარის მთავრობისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული კომპანია, რომელიც მოქმედებს, როგორც თანამშრომლობის გაერთიანება მუნიციპალური წყლისა და წყალარინების სისტემების მართვისა და ავტონომიურ რეგიონში საინვესტიციო პროექტების ფინანსური მხარდაჭერისათვის. AWA-მ უნდა გაუწიოს კოორდინაცია და ხელი შეუწყოს მუნიციპალური წყლის კომპანიების ცვლილებასა და თანაზიარ მხარდაჭერას, გამოიწვიოს ეკონომია და უზრუნველყოს და დააკომპლექტოს იმპლემენტაცია, კერძოდ საექსპლოატაციო ნოუ-ჰაუ მათთვის სექტორის რეფორმირების მიდგომაში დაფუძნებული საკონსულტაციო მომსახურებების კვალიფიკაციაზე (კერძოდ კონსულტანტი 2-ის). AWA-ს აჭარის მთავრობისა და მუნიციპალიტეტების მიერ მიენიჭა უფლებამოსილება (როგორც წყალმომარაგების მომსახურების მიმწოდებლის ფორმალურად პასუხისმგებელი ერთეული) კონკრეტული პროექტის განხორციელების მიზნით.

» პროექტის განხორციელება: როგორ წარიმართება პროცესი?

- ალიანსი მართავს პროექტის განხორციელების პროცესს შესაბამის მუნიციპალიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით
- ალიანსის პასის სამუშაო ჯგუფი ყველა წყლის საწარმოს და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით
- ალიანსის პასის სამუშაო ქვე-ჯგუფები თითოეულ მუნიციპალიტეტისთვის, წყლის საწარმოს და მუნიციპალიტეტის წევრებით;
- კონსულტანტთა 2 ჯგუფი:
  - → კონსულტანტი 1: განმახორციელებელი კონსულტანტი: დახმარებას უწევს ალიანსს და მუნიციპალიტეტებს და მუნიციპალურ საწარმოებს ცენტრალიზებული წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის ინვესტიციების განხორციელებაში
  - → კონსულტანტი 2: თანმდევი ღონისძიებების კონსულტანტი: დახმარებას უწევს ალიანსს და მუნიციპალიტეტებს და მუნიციპალურ საწარმოებს: მთავარ ყურადღებას უთმობს ცენტრალიზებული წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის ინვესტიციებს, მუნიციპალური საწარმოების გაძლიერებას და საზოგადოების/მომხმარებელთა ჯგუფების დახმარებას; ინფორმირება, კომუნიკაცია და ტრენინგი.

**ლოტი 1 კონსულტანტის ძირითადი ამოცანები:**

აჭარაში ორი ძირითადი განსახორციელებელი პაკეტისთვის შემდეგი საინჟინრო-საპროექტო და ადმინისტრაციული სამუშაოების შესრულება:

- საპროექტო დოკუმენტების დეტალური ინფორმაციის შედგენა, რომელიც უნდა შედგებოდეს ყოვლისმომცველი საპროექტო ანგარიშის, დამხმარე დანართებისა და ყველა აუცილებელი პროექტის, სქემებისა და სამშენებლო ნახაზებისაგან შესაბამისი მასშტაბითა და სათანადო ხარისხის დეტალური ინფორმაციით, ასევე თითოეული შემადგენელი ნაწილის ხარჯთაღრიცხვით;
- სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება სამუშაოებისა და საქონლის შესყიდვისათვის და დეტალური გეგმის შედგენა;
- სატენდერო პროცესის ჩატარება, ტენდერის შეფასება, მოლაპარაკებები ხელშეკრულების მინიჭებასა და გაფორმებაზე;
- სამშენებლო სამუშაოებისა და მომარაგების ზედამხედველობა;
- ექსპლოატაციაში გაშვების, დეფექტების შეტყობინების პერიოდისა და პროექტის დასრულების განმავლობაში დახმარების გაწევა, მომსახურება დეფექტების შეტყობინებების ვადის განმავლობაში.

ასევე სპეციფიური მოთხოვნები, კერძოდ მენეჯმენტის მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს:

1. PEA-ს მხარდაჭერას პროექტის მართვაში ყველა ტექნიკურსა და ფინასურ საკითხებთან მიმართ, როგორც "FIDIC ინჟინერი"-ს სახით, ასევე ყველა იმ საკითხებში, რომელიც საჭიროა პროექტის განხორციელებისთვის;
2. PEA-ს მხარდაჭერას მთარგმნელობითი მომსახურებით წერილობითი ურთიერთობებისას და თარჯიმნის მომსახურებით ზეპირი კომუნიკაციისას;

3. კოორდინაციას PEA-სთან, მუნიციპალიტეტებსა და მათ კომუნალურ საწარმოებთან, მომხმარებელთა ჯგუფებთან, ყველა სხვა შესაბამის ადგილობრივ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებთან, ასევე KfW-სთან;
4. პროექტის დაგეგმარების (დრო, ბიუჯეტი, ხარისხის კონტროლი) შემუშავებასა და მის მიმდინარეობაზე თვალყურის დევნას;
5. პროექტის მიზნების მიღწევის კონტროლსა და შესასრულებელი მაჩვენებლების განხორციელებას;
6. ანგარიშების შედგენასა და შედეგების წარდგენას.

**ლოტი 2 კონსულტანტის ძირითადი ამოცანები:**

თანმხლებ ღონისძიებებთან და სხვა ტექნიკურ მხარდაჭერასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ მხარდაჭერის გაწევა PEA-სათვის შემდეგ ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებში:

- პროექტების მართვა, ორგანიზაციული განვითარება და საინფორმაციო მართვის სისტემები;
- ფინანსური დაგეგმარება, საბუღალტრო აღრიცხვა, ტარიფების დადგენა და მოსაკრებლების შეგროვება;
- განმახორციელებელი პროექტების ტექნიკურ მენეჯმენტში საექსპერტო მომსახურება;
- საზოგადოებრივი ურთიერთობები, გარემოსდაცვითი და სოციალური თავსებადობა/შრომის უსაფრთხოება;
- წყლის ხარისხის მონიტორინგის სისტემის შექმნა.

ამის გარდა, ის უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურებით AWA-ს, რათა AWA-მ შეძლოს დახმარების გაწევა მუნიციპალიტეტებისათვის (იმდენად, რამდენადაც მათი პასუხისმგებლობა წყალმომარაგებსა და წყალარინებასთან არის დაკავშირებული) და მომხმარებელთა ჯგუფებს შემდეგ ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებში:

- პროექტების მართვა, ორგანიზაციული განვითარება და საინფორმაციო მართვის სისტემები;
- ფინანსური დაგეგმარება, საბუღალტრო აღრიცხვა, ტარიფების დადგენა და მოსაკრებლების შეგროვება;
- განმახორციელებელი პროექტების ტექნიკურ მენეჯმენტში საექსპერტო მომსახურება;
- საზოგადოებრივი ურთიერთობები, გარემოსდაცვითი და სოციალური თავსებადობა/შრომის უსაფრთხოება.

**ასევე დამატებით გაცნობებთ, რომ ამ დროისათვის საზოგადოებამ უკვე გააფორმა ხელშეკრულებები ლოტი-1 და ლოტი-2 ტენდერში გამარჯვებულ საკონსულტაციო კომპანიებთან და პროექტით გათვალისწინებული საპროექტო სამუშაოები შევიდა აქტიურ ფაზაში.**

დამატებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ დანართიდან.

**დანართის სახით თან ერთვის 321 (სამასოცდაერთი) ფურცელი:**

- ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება წყალმომარაგებისა და სანიტარული სისტემების კვლევა აჭარაში დაბებსა და სოფლებში „აჭარა - დამატებითი საკონსულტაციო მომსახურება პროექტის მომზადებისთვის" საბოლოო ვერსია (MACS Energy and Water, ოქტომბერი 2017).

**პატივისცემით,**

**თეიმურაზ ბედინაძე**
**დირექტორი**